საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/83

ქ. ბათუმი 22 სექტემბერი, 2021 წელი

ბსუ-ს მიერ - ,,ERASMUS+" პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლის განვითარება და დანერგვა საქართველოს უსდ-ებში" ფარგლებში კომპიუტერული პროგრამების (ერთწლიანი ლიცენზიით) გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (,,ბსუ") 2021 წლიდან მონაწილეობს ERASMUS+–ის საგრანტო პროექტში „ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლის განვითარება და დანერგვა საქართველოს უსდ-ებში" („Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs („DITECH" Project Number 618766-EPP-1-2020-1-EE-EPPKA2-CBHE-JP). საგრანტო პროექტის მიზანია უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს უნივერსიტეტებში ტექნოლოგიით გაძლიერებული სწავლება-სწავლის განვითარებისა და დანერგვის გზით, რომლის ფარგლებში იქმნება ინოვაციური პროგრამები და ტრენინგ კურსები აკადემიური პერსონალის ციფრული კომპეტენციისა და უნარების გასაუმჯობესებლად, მოხდება ცოდნის გადაცემის მეთოდების დივერსიფიკაცია, მათ შორის ონლაინ/შერეული სწავლების საშუალებით. შესაბამისად, პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ აღჭურვილობას შორის უნდა მოხდეს სპეციალური ელექტრონული პროგრამების - Camtasia (15 ლიცენზია) და Snagit (19 ლიცენზია) ერთწლიანი ლიცენზიის სახელმწიფო შესყიდვა, რომლების შეძენაც უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით (პლასტიკური ბარათით) კომპანია techsmith-ის ვებ-საიტზე: https://www.techsmith.com/.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) წესდების მე-15 მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის 1[1] პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საგრანტო პროექტის მენეჯერის მადონა მიქელაძის 2021 წლის 22 ივლისის სამსახურებრივი ბარათის MES 4 21 0000733869, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის, ზვიად ბერაძის 2021 წლის 14 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათისა №MES 9 21 0000916249 და ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის უფროსის, გენად აბულაძის 2021 წლის 21 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათის №MES 8 21 0000955858 საფუძველზე

ვბრძანებ:

1. კომპიუტერული პროგრამების - Camtasia (15 ლიცენზია) და Snagit (19 ლიცენზია), (კლასიფიკატორის (CPV) კოდი_48500000 - საკომუნიკაციო და მულტიმედიის პროგრამული პაკეტები) ინტერნეტით გამოწერის გზით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისათვის დაევალოს:

ა) ბსუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს 3388 (სამასი ათას სამას ოთხმოცდარვა) ევროს გადატანა კორპორატიულ (ბიზნეს) ბარათის ბალანსზე;

ბ) ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, ზვიად ბერაძესა და ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის მთავარ სპეციალისტ, მირზა იაკობაძეს კორპორატიული (ბიზნეს) ბარათის გამოყენებით, ზემოაღნიშნული პროგრამების ერთწლიანი ლიცენზიების, ინტერნეტის გამოწერის გზით შესყიდვის განხორციელება;
გ) ბსუ-ს შესყიდვების სამსახურს შესყიდვის განხორციელების შესახებ ანგარიშის წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევით სამსახურს და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ია კინთე ჩხარტიშვილი